საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი, ტელ/ფაქსი: (+995 222) 7 17 82

ნინოშვილის ქ., №35 ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №02

ქ. ბათუმი **13 ივლისი, 2016 წ.**

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2012 წლის 25 დეკემბრის N3 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 და 35- მუხლების, წესდების მე-10 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 14 ნოემბრის №1106 ბრძანებაში (სსმ, №168, 28.11.2007) ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 14 ივნისის N70/ნ ბრძანების, ,,სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2012 წლის 29 ნოემბრის N230 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 11 ივლისის N45 დადგენილებისადა წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2012 წლის 25 დეკემბრის N3 გადაწყვეტილებაში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები:

ა) წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,1. პროფესორის თანამდებობაზე უვადოდ აირჩევა დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს ავტორიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება, განსაკუთრებული პროფესიული ან/და სამეცნიერო მიღწევები, აკმაყოფილებს ბსუ-ს წესდებითა და ამ წესით განსაზღვრულ პირობებს.“

ბ) წესის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,3. თუკი კონკურსთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტებით ან/და ამ წესით განსაზღვრული ვადა იწურება უნივერსიტეტისათვის არასამუშაო ან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ უქმე დღეს, მოქმედება შეიძლება შესრულდეს მომდევნო სამუშაო დღეს.“
გ) წესის მე-10 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,1. საკონკურსო კომისიის მიერ ამ წესით დადგენილი მოთხოვნების დარღვევასთან დაკავშირებით კონკურსანტს უფლება აქვს <u>დარღვევიდან</u> (საიდანაც აითვლება ვადა) <u>არაუგვიანეს მე-3 სამუშაო დღისა</u> შეიტანოს განცხადება/საჩივარი საპროცედურო კომისიაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ საჩივარი არ მიიღება.“
დ) წესის მე-10 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,4. საპროცედურო კომისია უზრუნველყოფს განცხადების/საჩივრის რეგისტრაციას (წინამდებარე წესის №7 დანართის შესაბამისად) და საკონკურსო კომისიისათვის დროულად გადაცემას. განმცხადებელს გადაეცემა ცნობა (შედგენილი წინამდებარე წესის №8 დანართის შესაბამისად), რომელშიც აღინიშნება განცხადების/საჩივრის კომისიაში მიღების თარიღი და დრო. საკონკურსო კომისია ვალდებულია განცხადების/საჩივრის შეტანიდან **3 (სამი)კალენდარული დღის** განმავლობაში განიხილოს განცხადება/საჩივარი და მიიღოს გადაწყვეტილება მისი დაკმაყოფილების, უარის თქმის ან განუხილველად დატოვების შესახებ.“
ე) წესის N 2 დანართის ,,ბ“პუნქტში (საკონკურსო პოზიცია) ნაცვლად ,,სრული პროფესორი“ მიეთითოს ,,პროფესორი“.

ვ) წესის N9 დანართში (შრომითი ხელშეკრულების ფორმა) შეიცვალოს 5.2. პუნქტის ,,ზ“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,ზ) სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული“;

2. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე, ასევე გასაცნობად დაეგზავნოს ბსუ-ს ფაკულტეტებს.
3. გადაწყვეტილება ძალაშია უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების დღიდან.
4. წინამდებარე გადაწყვეტილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის ვადაში ქალაქ ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქ. №30)

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი **დ. ბარათაშვილი**